

**საქართველოს პარლამენტის
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის დებულება**

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატი და მისი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) აპარატი არის კომიტეტისადმი დაქვემდებარებული, საქართველოს პარლამენტის აპარატის მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შექმნილია კომიტეტის საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

2. კომიტეტის აპარატი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულების, კომიტეტის დებულების, ამ დებულების, საქართველოს პარლამენტის აპარატის შინაგანაწესისა და სხვა სათანადო სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. კომიტეტის აპარატის ამოცანა

კომიტეტის აპარატის ამოცანაა კომიტეტის საქმიანობის სამართლებრივი, ანალიტიკური, დოკუმენტური, საინფორმაციო და ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

თავი II. კომიტეტის აპარატის უფლებამოსილებები

მუხლი 3. კომიტეტის აპარატის უფლებამოსილებები

კომიტეტის კომპეტენციისა და საქმიანობის ფარგლებში კომიტეტის აპარატი უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა აქტების პროექტების მომზადება;

ბ) უზრუნველყოს კომიტეტის აქტების პროექტებისა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;

გ) უზრუნველყოს საპარლამენტო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების მომზადება;

დ) უზრუნველყოს საქართველოს ნორმატიული აქტებისა და მათი აღსრულების მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი, კანონქვემდებარე აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება და ანალიზი, სასამართლოების აქტებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესწავლა, ანალიზი და განზოგადება და ამ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

- ე) უზრუნველყოს საკანონმდებლო წინადადებების შესწავლა-ანალიზი და ამ წინადადებებთან დაკავშირებული საკითხების მომზადება;
- ვ) უზრუნველყოს განცხადებების, მიმართვების, წერილებისა და პეტიციების შესწავლა, ანალიზი და კომიტეტის მიერ სათანადო რეაგირებისთვის შესაბამისი საკითხების მომზადება;
- ზ) უზრუნველყოს კომიტეტის სამოქმედო გეგმების პროექტების მომზადება;
- თ) უზრუნველყოს კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშების პროექტების მომზადება;
- ი) უზრუნველყოს კომიტეტის სამუშაო ჯგუფების მუშაობის ორგანიზება;
- კ) უზრუნველყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობა;
- ლ) უზრუნველყოს კომიტეტის მიერ განსახილველი/განხილული საკითხების შესახებ გამოთქმული ან წარდგენილი შენიშვნების დამუშავება და დადგენილი წესით ასახვა;
- მ) უზრუნველყოს კომიტეტის სხდომების გამართვა;
- ნ) უზრუნველყოს კორესპონდენციის დამუშავება, გაგზავნა და სხვა საჭირო კომუნიკაციის განხორციელება;
- ო) კომიტეტისა და კომიტეტის აპარატის საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საზოგადოებისა და ცალკეული დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა;
- პ) განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები კომიტეტის საქმიანობის სამართლებრივი, ანალიტიკური, დოკუმენტური, საინფორმაციო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით.

თავი III. კომიტეტის აპარატის შემადგენლობა და მართვა, კომიტეტის აპარატის ჯგუფები, კომიტეტის აპარატის საჯარო მოსამსახურე

მუხლი 4. კომიტეტის აპარატის შემადგენლობა და მართვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობის ჯგუფი და ანალიტიკური ჯგუფი, კომიტეტის აპარატის საჯარო მოსამსახურე

1. კომიტეტის აპარატს ჰყავს კომიტეტის აპარატის უფროსი. კომიტეტის აპარატის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.
2. კომიტეტის აპარატის უფროსი ხელმძღვანელობს კომიტეტის აპარატს. იგი გეგმავს, ორგანიზებას უწევს და წარმართავს კომიტეტის აპარატის საქმიანობას.
3. კომიტეტის აპარატის უფროსის არყოფნის შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებითა და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ბრძანების საფუძველზე კომიტეტის აპარატის უფროსის უფლებამოსილების

განხორციელება დროებით შეიძლება დაეკისროს კომიტეტის აპარატის ერთ-ერთ მთავარ სპეციალისტს.

4. კომიტეტის აპარატის უფროსი პასუხისმგებელია კომიტეტის თავმჯდომარის წინაშე, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის წინაშე. კომიტეტის აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეები პასუხისმგებელი არიან კომიტეტის თავმჯდომარისა და კომიტეტის აპარატის უფროსის წინაშე.

5. კომიტეტის აპარატის საჯარო მოსამსახურეები მოქმედებენ კომიტეტის თავმჯდომარის ან კომიტეტის აპარატის უფროსის დავალებით და მასთან/მათთან შეთანხმებით.

6. კომიტეტის აპარატის საჯარო მოხელის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ დებულებითა და შესაბამისი სამუშაოს აღწერილობით, ხოლო კომიტეტის აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის უფლებამოსილებები – სათანადო ხელშეკრულებით.

7. კომიტეტის აპარატში იქმნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობის ჯგუფი და ანალიტიკური ჯგუფი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობის ჯგუფის, ანალიტიკური ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობის ჯგუფი უზრუნველყოფს:

ა) სასამართლო საქმის მომზადებას, მათ შორის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და კორესპონდენციის დამუშავებასა და მომზადებას, სათანადო არგუმენტაციის შემუშავებას;

ბ) სათანადო კორესპონდენციის გაგზავნას და სხვა საჭირო კომუნიკაციის განხორციელებას;

გ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობას.

9. ანალიტიკური ჯგუფი უზრუნველყოფს:

ა) საქართველოს ნორმატიული აქტებისა და მათი აღსრულების მდგომარეობის შესწავლასა და ანალიზს;

ბ) კანონქვემდებარე აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებასა და ანალიზს;

გ) სასამართლოების აქტებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესწავლას, ანალიზსა და განზოგადებას;

დ) ამ პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას.

10. კომიტეტის აპარატის სტრუქტურასა და სამტატო ნუსხას საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

11. კომიტეტის აპარატის საჯარო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი.

თავი IV. კომიტეტის აპარატის დებულების დამტკიცება

მუხლი 5. კომიტეტის აპარატის დებულების დამტკიცება

კომიტეტის აპარატის დებულებას საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მიერ კომიტეტის თავმჯდომარესთან შეთანხმების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.